



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 06 ივლისის
 № 733 დადგენილებით
მოდულიზირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2016 წლის 21 ივნისის
 № 2028 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ფინანსები
Finance

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business-Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი ანტონ ინგოროყვა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ფინანსების დოქტორი (Doctor in Finance) <i>მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში</i>

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

<p>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ფინანსების სფეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარების მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და მკვლევარების მომზადება.</p> <p>შრომის ბაზარზე ასეთ მაღალი დონის სპეციალისტზე მოთხოვნა სწარფად იზრდება არა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ზოგადი განათლების მქონე პირებზე, არამედ</p>

მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ მაღალი დონის ფინანსისტზე, ფინანსურ კონსულტანტსა და ანალიტიკოსებზე. აღნიშნულს იწვევს ერთის მხრივ, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები, ხოლო მეორეს მხრივ, საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები და საქართველოს სულ უფრო მეტი ინტეგრაცია ცივილიზებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

მიმდინარე ეტაპზე, ქვეყანაში იზრდება მოთხოვნა ფინანსური მენეჯერებზე, ინვესტიციურ მენეჯერებზე, ექსპერტებზე, ფინანსურ ანალიტიკოსებზე, და სხვა ისეთ პოზიციებზე, სადაც ფინანსების ბაკალავრის თუ მაგისტრის კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები არ არის საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ სერიოზულ პრობლემად ყალიბდება ტენდენცია, როდესაც ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ, ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ბიზნეს სფეროში ან სახელმწიფო სამსახურში დასაქმებით, ვიდრე სწავლის გაგრძელებით სწავლების შემდგომ საფეხურზე. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის წარმატებით გავლა, ერთობ ზრდის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე და მყარ საფუძველს ქმნის მათი წარმატებული კარიერის ფორმირებისათვის.

სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმეში, რომლებიც აღჭურვილი არიან მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიით, კარგად ერკვევიან ფინანსების მეცნიერების განვითარების ტენდენციებში, თავისი თეორიული მომზადებითა და შემოქმედებითი უნარის დონით შეესაბამებიან საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დამოუკიდებლად შეუძლიათ სამეცნიერო-ანალიტიკური, სასწავლო-პედაგოგიური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ბიზნეს-საქმიანობის განხორციელება ქვეყნისა და რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.). გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ა) **ცოდნა და გაცნობიერება** – შეიძენს სისტემურ და სიღრმისეულ ცოდნას ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის პროცესების მრავალფეროვნებისა და განვითარების კანონზომიერებათა შესახებ; მიიღებს სიღრმისეულ ცოდნას თანამედროვე უცხოური და ეროვნული მეცნიერების მიღწევების შესახებ, გაერკვევა ფინანსური მეცნიერების მსოფლიო ტენდენციებში და სხვადასხვა მიმართულების კონცეპტუალურ მიდგომებში, გააცნობიერებს მეცნიერული კვლევის პროგრესულ მეთოდოლოგიას და მ.შ. დისციპლინათაშორის მიდგომას, და ამ ცოდნის საფუძველზე შეძლებს საკუთარი შეხედულებათა ჩამოყალიბებასა და გადმოცემას საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე; შეძლებს სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის წარმართვას საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** – მიღებულ ცოდნას იყენებს საკუთარი კვლევის პროცესში შესწავლილი მოვლენების ანალიზისა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებისათვის, განსაზღვრავს საკვლევი პრობლემის შესწავლის თანმიმდევრულობას, კვლევის არსებული მეთოდებიდან შეარჩევს კონკრეტული კვლევის მიზნების შესაბამის მეთოდებს და შეიმუშავებს კვლევის ისეთ მეთოდოლოგიას, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება დასახული საკვლევი მიზნების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის ჩამოყალიბებას და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;

გ) **დასკვნის უნარი** – საკვლევი პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და კრიტიკული გააზრების, კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება-განვითარების საფუძველზე და ფინანსური მეცნიერების მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, ახორციელებს საკვლევი პრობლემის კრიტიკულ გააზრებას და დასკვნის გაკეთებას მისი გადაჭრისათვის ეფექტური გზების გამოძიების შესახებ. ფინანსური მეცნიერების ინსტრუმენტარიების გამოყენებით ახდენს ბიზნეს-პროცესების ანალიზს, დასკვნის სახით დამოუკიდებლად შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს ახალი ფინანსური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

დ) კომუნიკაციის უნარი – შეუძლია არსებული ფინანსური, საბანკო და სადაზღვევო ცოდნის დასაბუთებულად და ნათლად წარმოჩენა; სამეცნიერო დისკუსიებში, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა და საკუთარი მეცნიერული შეხედულებათა გამოთქმა, მ.შ. უცხოურ ენაზე; თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენება და საჭირო ინფორმაციის მიღება და ახლად მიღებული ცოდნის კონკრეტულ წინადადებებში გადაყვანა.

ე) სწავლის უნარი – შეუძლია იზრუნოს მიღებული ცოდნის მუდმივ განახლება-გაფართოებაზე და ამ ცოდნის გააზრება-გადასინჯვის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბება, ახალი ცოდნის დამოუკიდებლად აკუმულირება და გადმოცემა; გააჩნია სისტემური ცოდნა და ანალიტიკურ უნარი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისათვის არა მრავალი ფაქტებისა და საბაზო მონაცემების დამახსოვრების, არამედ მათი ანალიზისა და მიღებული შედეგების შემდგომი სინთეზირების საფუძველზე.

ვ) ღირებულებები – გააჩნია ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული და მეცნიერული ღირებულებების ცხოვრებაში გატარებისა და დამკვიდრებისაკენ მუდმივი სწრაფვის უნარი და თავის მეცნიერულ-თეორიულ, პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობაში ახორციელებს ამ ღირებულებების გამომჟღავნებას, განსაზღვრასა და დანერგვას. მისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ღირებულებები, როგორცაა პროფესიული და ადამიანური ეთიკა, მეცნიერული ობიექტურობა, კოლეგიალურობა და თანამშრომლობა, მეცნიერული და ადამიანური პატიოსნება, თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციისაკენ მუდმივი სწრაფვა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია პრაქტიკული სემინარი სამეცნიერო-თემატური სემინარი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება დისერტაციის დაცვა

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გთავაზობთ სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **ევერისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა,

პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;

დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაზრისო გაგებადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

15. წერიტი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. ლაბორატორიული მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

18. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება

მოცემული თემის ფარგლებში.

19. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამდლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ

აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ

მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ

მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სილაბუსებში და

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესში, იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: http://www.gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს გააჩნია ფართო კარიერული შესაძლებლობები, რომელიც მოიცავს დასაქმებას ბიზნესის და სამეწარმეო სექტორში, ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, საკრედიტო ორგანიზაციებში, საბროკერო ფირმებში, კონსალტინგურ ცენტრებში, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ასევე ყველა დაწესებულებაში, სადაც მოითხოვება სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობა, სტრატეგიული კვლევა, ანალიზი და მართვა.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- საბანკო ტექნოლოგიების სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორია. (ლაბორატორიული ბაზის დეტალური აღწერა მოცემულის პროგრამის დანართში)

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

აღნიშნულ პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ქვემოჩამოთვლილი პროფესორები:

- ანტონ ინგოროყვა – სრული პროფესორი
- გიორგი ცაავა – სრული პროფესორი
- გივი გამსახურდია – სრული პროფესორი
- ზურაბ ჩხაიძე – სრული პროფესორი
- რატი ბურდიაშვილი – ასოცირებული პროფესორი
- მზევინარ ნოზაძე – ასოცირებული პროფესორი
- ირინა ფიჩხაია – ასოცირებული პროფესორი
- ნანა შონია – ასოცირებული პროფესორი
- მამუკა მაისურაძე – ასოცირებული პროფესორი
- ვალერი მოსიაშვილი – ასოცირებული პროფესორი
- ვალერი მოსიაშვილი – ასოცირებული პროფესორი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები	20	10	15	15	-	-	60
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5						
2	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	5						
3	-	პროფესორის ასისტენტობა		5					
4	ECMBT07-L	ეკონომეტრიკა	5						
5	RIFFI07-L	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	5						
6	ACFFI07-L	კორპორაციული ფინანსების გაძლიერებული კურსი		5					
7	-	პირველი თემატური სემინარი			15				
8	-	მეორე თემატური სემინარი				15			
		კვლევითი კომპონენტები	10	20	15	15	30	30	120
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10						
2.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20					
3.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 1			15				
4.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 2				15			
5.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 3					30		
6.	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30	
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30	
		სასწავლო წელს	60		60		60		180

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	X	X	X			X
3	-	პროფესორის ასისტენტობა	X	X		X		X
4	ECMBT07-L	ეკონომეტრიკა	X	X	X			
5	RIFFI07-L	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	X	X	X			X
6	ACFFI07-L	კორპორაციული ფინანსების გაძლიერებული კურსი	X	X	X			X
7	-	პირველი თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
8	-	მეორე თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგანი	საათები	\ საათი	ECTS	ლექცია	სემინარი (კვლევაში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო	სამომზალო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5/135	45								2	1	87
2.	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	5/135	45								2	1	87
3.	ECMBT07-L	ეკონომეტრიკა	5/135	30								2	1	102
4.	RIFFI07-L	კვლევა საერთაშორისო ფინანსებში	5/135	30								2	1	102
5.	ACFFI07-L	კორპორაციული ფინანსების გაძლიერებული კურსი	5/135	30								2	1	102

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ანტონ ინგოროყვა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგი
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
04 ივლისი 2012

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

მოდულირებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
2016 წლის 13 მაისი. ოქმი N12
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური